



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/619

20 / მაისი / 2019 წ.



KA000088165030019

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.12.745) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N 669 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მონუმბის ფორმების, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2014 წლის 24 დეკემბრის, N 21/58 დადგენილების შესაბამისად და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2017 წლის 29 ივნისის, N15/44 განკარგულების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.12.745, სიტუაციური გეგმის შესაბამისად) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

**მუხლი 2.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.12.745) საწყისი თვიური ქირის საფასური განისაზღვროს 48.00 (ორმოცდარვა) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 9.60 (ცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 250.00 (ორასორმოცდაათი) ლარით.

**მუხლი 3.** სარგებლობაში (იჯარა) გადაცემის ვადად განისაზღვროს 3 (სამი) თვე, სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

**მუხლი 4.** განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2019 წლის 21 მაისის 15:00 საათიდან, 2019 წლის 04 ივნისის 15:00 საათამდე.

**მუხლი 5.** აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო თვის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

**მუხლი 6.** აუქციონში გამარჯვებულმა საიჯარო ქირა უნდა გადაიხადოს ყოველთვიურად.

**მუხლი 7.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ოქმის საფუძველზე, არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება.

**მუხლი 8.** თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423047 (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში).

**მუხლი 9.** წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების

სააგენტოს“ ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge), რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

**მუხლი 10.** ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე [www.poti.gov.ge](http://www.poti.gov.ge).

**მუხლი 11.** წინამდებარე ბრძანების სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ზე განთავსება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე [www.poti.gov.ge](http://www.poti.gov.ge)-ზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.


**მუხლი 12.** აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემ უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

**მუხლი 13.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

**მუხლი 14.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

**მუხლი 15.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემტრონულად 

გონა კურდღელია